იჯარის ხელშეკრულება N T CH 181/07

ქ. თბილისი

31 ივლისი 2015 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ბანკი:

1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	ს.ს. „საქართველოს ბანკი";
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
1.1.1.2.	იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა;
1.1.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა.
1.1.1.4.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.1.1.4.1.	სახელი და გვარი:	თორნიკე გოგიჩაიშვილი;
1.1.1.4.2.	თანამდებობა/სტატუსი:	01010005109;
1.1.1.5.	საკონტაქტო მონაცემები:	საოპერაციო დირექტორი.
1.1.1.5.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	თამარ ჩხეიძე;
1.1.1.5.2.	თანამდებობა/სტატუსი:	ფინანსური მხარდაჭერის ოფიცერი;
1.1.1.5.3.	ტელეფონი:	2444444 (7436);
1.1.1.5.4.	ფაქსი:	-;
1.1.1.5.5.	ელ. ფოსტა:	tchkheidze@bog.ge.
1.1.1.6.	საბანკო რეკვიზიტები:	
1.1.1.6.1.	ბანკის დასახელება:	ს.ს. „საქართველოს ბანკი"
1.1.1.6.2.	ბანკის კოდი:	BAGAGE22
1.1.1.6.3.	ანგარიშის ნომერი:	GE19BG4501981430450000

1.2. მეიჯარე:

1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს ,,PP";
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	404922474;
1.2.1.2.	იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი:	ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №8, ბინა 24;
1.2.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	ქ. თბილისი, ვეკუას ქ. №3.
1.2.1.4.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.4.1.	სახელი და გვარი:	ლაურა ღაჭავა;
1.2.1.4.2.	პირადი ნომერი:	01017003216;
1.2.1.4.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი
1.2.1.5.	საკონტაქტო მონაცემები:	
1.2.1.5.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	ლაურა ღაჭავა;
1.2.1.5.2.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;
1.2.1.5.3.	ტელეფონი:	577 27 01 05; 577 71 70 70;
1.2.1.5.4.	ფაქსი:	-;
1.2.1.5.5.	ელ. ფოსტა:	s.h.lauragachava@gmail.com.
1.2.1.6.	საბანკო რეკვიზიტები:	
1.2.1.6.1.	ბანკის დასახელება:	ს.ს. საქართველოს ბანკი;
1.2.1.6.2.	ბანკის კოდი:	BAGAGE22;
1.2.1.6.3.	ანგარიშის ნომერი:	GE30BG0000000827671200.

2. დეფინიციები

თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **ხელშეკრულებაში** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაში** ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. **ანგარიში – ბანკში** არსებული **მეიჯარის** საბანკო ანგარიშ(ებ)ი (ასეთის არსებობისას);

2.2. **არსებითი შემადგენელი ნაწილი/გაუმჯობესება – იჯარის საგნის** შემადგენელი ნაწილი, რომელიც მყარადაა დაკავშირებული **იჯარის საგანთან**, არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის და რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია **იჯარის საგნის** ან/და ამ ნაწილის განადგურების ან/და მათი დაწიშნულების მოსპობის გარეშე. ასევე, **იჯარის საგნის** გაერთიანების შედეგად **იჯარის საგანზე** არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებული ნაწილ(ებ)ი ან/და დაყოფის შედეგად წარმოშობილი **იჯარის საგნის** ნაწილ(ებ)ი.

2.3. **განცხადებები და გარანტიები – ხელშეკრულების მე-7 მუხლში** მოცემული **მეიჯარის** განცხადებები და გარანტიები;

2.4. **დამატებითი პირობები – ხელშეკრულების დანართი N1**-ით (ასეთის არსებობისას) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით;

2.5. **დანართი** – თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დანართ(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს/წარმოადგენენ **ხელშეკრულების** ან **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს/მოქმედებენ მასთან ერთად;

2.6. **ექსპერტი** – შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც **კანონმდებლობის** შესაბამისად გააჩნია საექსპერტო დასკვნის შედგენის უფლება.

2.7. **ინვენტარი – იჯარის საგნის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო **მოძრავი ნივთი** ან **მოძრავი ნივთების** ერთობლიობა, რომელიც განისაზღვრება **ხელშეკრულების „ა" დანართით.**

2.8. **იჯარის საგანი – ხელშეკრულების „ა" დანართით** განსაზღვრული **მოძრავი** ან/და **უძრავი ნივთი** (კონტექსტის შესაბამისად) და მისი **არსებითი შემადგენელი ნაწილი;**

2.9. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

2.10. **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** (ან **ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება**) – **ბანკსა** და **მეიჯარეს** ან **ბანკსა/მეიჯარესა** და **მესამე პირს** შორის დადებული ყველა ხელშეკრულება ან/და სხვა დოკუმენტი, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია **ხელშეკრულებით** ან/და ხორციელდება მის საფუძველზე/შესაბამისად;

2.11. **მეიჯარე** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომლის/რომელთა სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია **ხელშეკრულების 1.2. პუნქტში;**

2.12. **მესამე პირი** – ნებისმიერი **პირი** გარდა **ბანკის** და **მეიჯარისა;**

2.13. **მიწის ნაკვეთი** – მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული **შენობა-ნაგებობით** ან მის გარეშე;

2.14. **მოძრავი ნივთი** – ყველა ის ნივთი, რომელიც არ წარმოადგენს **უძრავ ნივთს;**

2.15. **მხარე/მხარეები – ბანკი** ან/და **მეიჯარე** (კონტექსტის შესაბამისად);

2.16. **ნაკლი – ნივთობრივი ნაკლი** ან/და **უფლებრივი ნაკლი** (კონტექსტის შესაბამისად);

2.17. **ნივთობრივი ნაკლი/ნივთობრივად უნაკლო – იჯარის საგანი** ნივთობრივი ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუ მას არ გააჩნია **მხარეთა** მიერ შეთანხმებული თვისებები. თუ აღნიშნული თვისებები **მხარეთა** მიერ წინასწარ შეთანხმებული არ ყოფილა **იჯარის საგანი** ნივთობრივი ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუ იგი არაა **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ხარისხის ან ვარგისი არ არის ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ **მეიჯარე ბანკს** გადასცემს **იჯარის საგნის** მხოლოდ ერთ ნაწილს, სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ **იჯარის საგნის** ერთი ნაწილი ნივთობრივი ნაკლის მქონეა;

ების შესაბამისად, **ბანკის** მიერ **მეიჯარის ანგარიშზე** მოკლე ვადით დაწესებული სადებეტო ნაშთი, რომელიც **მეიჯარეს** **ანგარიშზე** დაწესებული სადებეტო ნაშთის (ოვერდრაფტის ლიმიტის) ფარგლებში გამოიყენოს **ანგარიშზე** რიცხულ თანხაზე
მოქმნილი დავალიანება პირველ რიგში ავტომატურად დაიფარება **ანგარიშზე** შემოსული თანხით;
ირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული
რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს;
ისტრირებულ მონაცემთა ბაზა ან/და შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანო (კონტექსტის შესაბამისად): (ა) ფასიანი ქაღალდების
თხვევაში - **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ
კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი **პირი**, (ბ) საჰაერო და საზღვაო ხომალდების შემთხვევაში -
ლოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ
ვაში, **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი **პირი**, (გ) მექანიკური სატრანსპორტო და დამხმარე ტექნიკური
ლებების შემთხვევაში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, (დ) სხვა შემთხვევებში - საქართველოს იუსტიციის
ისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე **პირი**;
ანკო დღე – დღე (შაბათის, კვირის ან **კანონმდებლობით** განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში
ქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას;
საკუთვნებელი – მოძრავი ნივთი, რომელიც არ არის **იჯარის საგნის არსებითი შემადგენელი ნაწილი**, თუმცა სივრცობრივ კავშირშია **იჯარის საგანთან**, დაკავშირებულია მასთან თავისი დანიშნულებით და მითითებულია **ხელშეკრულების „ა" დანართში**.
უფლებრივი ნაკლი/უფლებრივად უნაკლო – იჯარის საგანი უფლებრივად ნაკლულია თუ **მესამე პირს** შეუძლია განაცხადოს პრეტენზია თავისი უფლებების გამო, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად: ა) **იჯარის საგანთან** დაკავშირებით **რეესტრში** რეგისტრირებულია არარსებული უფლება ან/და მოთხოვნა/ვალდებულება ან/და ბ) **იჯარის საგანი** არის სადაო, არის აღძრული სარჩელი **მესამე პირის** მიერ **იჯარის საგანზე** საკუთრების ან სხვა (მფლობელობის, სარგებლობის) უფლების მოპოვების მოთხოვნით;

2.24. **უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი** ან/და **შენობა-ნაგებობა** ან/და **შენობა–ნაგებობის ერთეული** ან/და **ხაზობრივი ნაგებობა** (კონტექსტის შესაბამისად);

2.25. **შენობა–ნაგებობა** – სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობებისაგან შექმნილი კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრუნტთან უძრავადაა დაკავშირებული, ქმნის გადახურულ სივრცეს, შემოსაზღვრულია კედლებით, კოლონებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული);

2.26. **შენობა-ნაგებობის ერთეული** – ერთ სისტემაში გაერთიანებული (ურთიერთდაკავშირებული) მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა ან იზოლირებული სათავსი (სათავსების ერთობლიობა), რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან არასაცხოვრებლად (მაგ: ბინა, არასაცხოვრებელი ფართი, კომერციული ფართი და სხვა)(მშენებარე, აშენებული ან დანგრეული);

2.27. **ხაზობრივი ნაგებობა** – საკომუნიკაციო ნაგებობა, საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა სახის მილსადენი, გვირაბი, საჰაერო-საბაგირო გზა, ელექტროგადამცემი ხაზი, კავშირგაბმულობის ხაზი, ფუნიკულიორი, დამბა, არხი;

2.28. **ხელშეკრულება – მხარეთა** შორის დადებული (ა) წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება; (ბ) წინამდებარე იჯარის ხელშეკრულების **დანართი N1 (დამატებითი პირობები)** (ასეთის არსებობისას) და (გ) ნებისმიერი დამატებითი **დანართი** (ასეთის არსებობისას), რომლებიც დაიდო/დაიდება მომავალში **მხარეთა** მიერ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებასთან მიმართებაში, ამგვარ დოკუმენტებში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მეიჯარე** იღებს ვალდებულებას დროებით სარგებლობაში გადასცეს **ბანკს** **ხელშეკრულების „ა" დანართით** განსაზღვრული **უფლებრივად უნაკლო** და **ნივთობრივად უნაკლო იჯარის საგანი** და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს **ბანკის** მიერ ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, ხოლო **ბანკი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **მეიჯარეს** შეთანხმებული ფასი (შემდგომში – **საიჯარო ქირა**) და მიიღოს **იჯარის საგანი** (შემდგომში – **იჯარა**).

3.2. **საიჯარო ქირა** გადაიხდება **იჯარის საგნის ბანკისათვის** გადაცემის საფუძველზე.

3.3. **იჯარის საგნის** გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად – **იჯარის საგნის** აწონვის, გაზომვის, შეფუთვის, შენახვის, მიღებისა და გადაგზავნის ხარჯების, ღირებულების შეფასების, ასევე **ხელშეკრულების** დადების, გაფორმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯების) და **იჯარის რეესტრში** რეგისტრაციის (წარმოშობა, ცვლილება/დამატება ან შეწყვეტა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ხარჯების დაკისრების საკითხს **მხარეები** წყვეტენ ზეპირი ან წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3.4. **იჯარის** ვადა, **იჯარის საგნის** აღწერა, გამოყენების მიზანი, **საიჯარო ქირის** ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება **ხელშეკრულების „ა" დანართით** და **ხელშეკრულების „ბ" დანართით** (ამ უკანასკნელის არსებობისას).

4. იჯარის საგნის ან/და იჯარის საგანთან დაკავშირებული საბუთების ან/და მისი/მათი ნაწილის გადაცემა და მისი შედეგები

4.1. **იჯარის საგნის** ან/და **იჯარის საგანთან** დაკავშირებული საბუთების ან/და მისი/მათი ნაწილის მეორე **მხარისათვის** გადაცემის თარიღი და ადგილი, **ბანკმა** წინასწარ, გონივრული ვადის დაცვით, ზეპირად ან/და **ხელშეკრულებით** განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებით უნდა შეატყობინოს **მეიჯარეს**.

4.2. **იჯარის საგანი** ან/და **იჯარის საგანთან** დაკავშირებული საბუთები ან/და მისი/მათი ნაწილი მეორე **მხარისათვის** გადაცემულად ჩაითვლება (შემდგომში – მიღება–ჩაბარება) **მხარეთა** მიერ **იჯარის საგნის** ან/და **იჯარის საგანთან** დაკავშირებული საბუთების ან/და მისი/მათი ნაწილის ფაქტობრივი **მიღება–ჩაბარებიდან**, თუ **ხელშეკრულების „ა" დანართით** განსაზღვრული არ არის: ა) **მიღება–ჩაბარების** აქტის არსებობა ან ბ) **იჯარის საგნის** ან/და **იჯარის საგანთან** დაკავშირებული საბუთების ან მისი/მათი ნაწილის **მიღება–ჩაბარების** სხვა წესი.

4.3. **იჯარის საგნის** ან/და **იჯარის საგანთან** დაკავშირებული საბუთების ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, თუ **მეიჯარის** მიერ ერთ–ერთი ნაწილის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო **ბანკს** ეჭვი შეეპარება **მეიჯარის** მიერ მომავალი მიწოდების ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში, მაშინ **ბანკს** შეუძლია ცალმხრივად მოშალოს **ხელშეკრულება**.

4.4. თუ **იჯარის საგნის** ან/და **იჯარის საგანთან** დაკავშირებული საბუთების ან/და მისი/მათი ნაწილის **ბანკისათვის** გადასაცემად აუცილებელია გაგზავნა, **მეიჯარემ** უნდა დადოს გარიგებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დათქმულ ადგილზე გადაზიდვისათვის, ასევე მიიღოს ყველა საჭირო ზომა გადაზიდვისათვის დადგენილი ჩვეული პირობების უზრუნველსაყოფად, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად დააზღვიოს ზემოაღნიშნული ტვირთი ტრანსპორტირებისას. ამასთან, **მეიჯარემ** უნდა შეატყობინოს **ბანკს** ტვირთის გადაგზავნის თაობაზე და გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი. ამასთან, თუ **ბანკი** დროულად არ მიიღებს ტვირთს ან მის ნაწილს **მეიჯარე** ვალდებულია საკუთარი ხარჯით შეინახოს ტვირთი ან შესაბამისი ნაწილი.

5. იჯარის საერთო პირობები

5.1. **მეიჯარე** იღებს ვალდებულებას, რომ **იჯარის** მთელი პერიოდის განმავლობაში **იჯარის საგანი**, **ინვენტარი** და **საკუთვნებელი** იქნება **უფლებრივად უნაკლო** და **ნივთობრივად უნაკლო**.

5.2. **იჯარის საგნის მიღება–ჩაბარების** აქტით **მიღება–ჩაბარებისას**, **იჯარის საგნის** მდგომარეობა აღინიშნება **მიღება–ჩაბარების** აქტში.

5.3. **იჯარის საგანთან** დაკავშირებული ვალდებულებები სრულად ვრცელდება **იჯარის საგნის საკუთვნებელზე**.

5.4. **იჯარის საგანი ბანკს** შეიძლება გადაეცეს **ინვენტართან** ერთად. ამასთან, თავის მხრივ **მეიჯარე** ვალდებულია, **იჯარის** მოქმედების პერიოდში, დაუყოვნებლივ ან **ბანკის** მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, გამოცვალოს **ინვენტარის** ის ნაწილები, რომლებიც გამოუსადეგარი გახდა **ბანკის** ბრალეული ქმედების გარეშე.

5.5. **ბანკი** უფლებამოსილია საიჯარო ურთიერთობის ფარგლებში **მეიჯარესთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე თავისუფლად ისარგებლოს **ინვენტარით**, უზრუნველყოს მისი მოვლა–პატრონობა და **იჯარის** შეწყვეტისას დაუბრუნოს **მეიჯარეს იჯარის საგანთან** ერთად **ინვენტარის** მიღებისას არსებული ან **გაუმჯობესებული** მდგომარეობით, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

5.6. **იჯარის** პერიოდში **ბანკის** მიერ შეძენილი **ინვენტარი** წარმოადგენს **მეიჯარის** საკუთრებას. ამასთან, **იჯარის** შეწყვეტისას **მეიჯარე** ვალდებულია უზრუნველყოს **ბანკის** მიერ შეძენილი **ინვენტარის**, ასევე **ინვენტარის გაუმჯობესების** ღირებულების ანაზღაურება. აღნიშნულთან დაკავშირებით **ბანკის** მიერ წარმოდგენილი მონაცემები ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად და არ გახდება სადაო **მეიჯარის** მიერ.

5.7. **იჯარის საგანთან** დაკავშირებული ვალდებულებები სრულად ვრცელდება **ინვენტარზე**, გარდა **ხელშეკრულების 5.4., 5.5.** და **5.6. პუნქტებით** გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

5.8. ყველა იმ ზემოქმედების პირობები, რომელიც **მეიჯარემ** უნდა განხორციელოს **იჯარის საგნის** მიმართ წინასწარ უნდა შეთანხმდეს **ბანკთან**.

5.9. **ბანკი** უფლებამოსილია **იჯარის საგნის** მფლობელობის უფლება დაიცვას **მეიჯარისაგან** ან/და **მესამე პირისაგან**.

...ება არ იწვევს **საიჯარო ქირის** მოცულობის გაზრდას.

...ული **იჯარის საგანი ნაკლის** მქონეა **ბანკი** უფლებამოსილია **მეიჯარეს** განუსაზღვროს გონივრული ვადა აღნიშნული **ნაკლის** ... პარალელურად შეამციროს **საიჯარო ქირა** იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა **იჯარის საგნის** ვარგისიანობა. ამასთან, ...მცირდა **იჯარის საგნის** ვარგისიანობა, განსაზღვრავს **ბანკი** ცალმხრივად, ხოლო **ბანკის** მიერ წარმოდგენილი მონაცემები **მეიჯარის** ... სადაო და ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად. ამასთან, თუ **იჯარის საგნის ნაკლი** ამცირებს **იჯარის** ...ნობას და **მეიჯარე** დროულად ვერ უზრუნველყოფს **ნაკლის** გამოსწორებას, **ბანკი** უფლებამოსილია **საიჯარო ქირის** შემცირებასთან ...ოს მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურება.

...ვლენის ან/და აღმოჩენის თაობაზე **ბანკი მეიჯარეს** აცნობებს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს აღნიშნული **ნაკლის** გამოვლენიდან 5 ...**ბანკო დღისა**. თუ **მეიჯარე** აყოვნებს **იჯარის საგნის ნაკლის** გამოსწორებას, **ბანკს** შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს გაწეული ... სრულად ანაზღაურება. ამასთან, **ბანკის** მიერ წარმოდგენილი მონაცემები გაწეული ხარჯების შესახებ **მეიჯარის** მიერ არ გახდება სადაო და ...ება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად.

...ის მიერ **იჯარის საგნის ნაკლის** აღმოსაფხვრელად გაწეულ აუცილებელ დანახარჯებს, ასევე დანახარჯებს, რომელიც განხორციელდა **ბანკის** მიერ ...**არის საგნის გაუმჯობესების** მიზნით, აანაზღაურებს **მეიჯარე**, **ბანკის** მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, **ბანკის** მიერ წარმოდგენილი ...ონაცემები გაწეული ხარჯების შესახებ **მეიჯარის** მიერ არ გახდება სადაო და ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად.

ყველა ის **მოძრავი ნივთი,** რომლითაც **ბანკი** აღჭურავს **იჯარის საგანს** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და **მეიჯარეს**, მიუხედავად მისი მხრიდან **ბანკის** მიმართ არსებული მოთხოვნის შინაარსისა, არ აქვს გირავნობის უფლება აღნიშნულ **მოძრავ ნივთებზე**.

ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს **იჯარის საგნის** მიმდინარე რემონტი, მათ შორის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასევე სამუშაოები, რომელიც არ გულისხმობს რეკონსტრუქციას, მაგრამ გამოიწვევს **იჯარის საგნის** კონფიგურაციის შეცვლას/გადაკეთებას ან/და მცირე არქიტექტურული ელემენტების დამატებას/მოკლებას და მოითხოვოს გაწეული ხარჯების სრულად ანაზღაურება. ამასთან, **ბანკის** მიერ წარმოდგენილი მონაცემები გაწეული ხარჯების შესახებ **მეიჯარის** მიერ არ გახდება სადაო და ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად.

5.16. **ბანკი** უფლებამოსილია **იჯარის საგანი** სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობის უფლებით გადასცეს **მესამე პირს** და საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს **იჯარის საგნის** მიზნობრიობა. ამასთან, **იჯარის** ნებისმიერი ფორმით შეწყვეტის შემთხვევაში **მეიჯარე** იკავებს **ბანკის** ადგილს **მესამე პირთან** ურთიერთობაში.

5.17. **იჯარის საგნის** განკარგვისას, **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგანი** გაასხვისოს იმ პირობით, რომ ახალ მესაკუთრეზე სრულად გავრცელდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მეიჯარის** უფლება–მოვალეობები და აღნიშნულის შესახებ 30 (ოცდაათი) **საბანკო დღით** ადრე შეატყობინოს **ბანკს**.

5.18. **მეიჯარის** მიმართ საკუთარი მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად დაკმაყოფილების მიზნით, **ბანკს** ა) უფლება აქვს დააკავოს **იჯარის საგანი**, აღნიშნული პერიოდი ან ამავე პერიოდში **იჯარის საგნის** გამოყენება არ განიხილება **იჯარის** ვადის განახლებად ან/და გაგრძელებად და **ბანკს** არ ეკისრება **საიჯარო ქირის** გადახდა ან/და **საიჯარო ქირის** გადაუხდელობის გამო ზიანის (ზარალის) ანაზღაურება; ბ) გააჩნია **გირავნობის** უფლება **იჯარის საგანზე**, **ინვენტარსა** და **საკუთვნებელზე**.

5.19. **ბანკი** უზრუნველყოფს **იჯარის საგნის მეიჯარისათვის** დაბრუნებას **იჯარის** ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდი ან ამავე პერიოდში **იჯარის საგნის** გამოყენება არ განიხილება **იჯარის** ვადის განახლებად ან/და გაგრძელებად და **ბანკს** არ ეკისრება **საიჯარო ქირის** გადახდა ან/და **საიჯარო ქირის** გადაუხდელობის გამო ზიანის (ზარალის) ანაზღაურება.

5.20. **იჯარის საგანი** უნდა დაბრუნდეს არანაკლებ **იჯარის საგნის ბანკისათვის** გადაცემის მომენტისათვის არსებული მდგომარეობით, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით და **ხელშეკრულების 5.12. პუნქტის** მოთხოვნათა დაცვით.

6. სასოფლო–სამეურნეო მიწის იჯარის სპეციფიკური პირობები

6.1. თუ **ბანკს** საიჯარო მიწაზე სტიქიური უბედურების ან სხვა **ფორს–მაჟორული** გარემოებების შედეგად მოსავლის ნახევარზე მეტი გაუნადგურდა, მას უფლება აქვს მოითხოვოს **საიჯარო ქირის** შემცირება პროპორციულად. **საიჯარო ქირის** შემცირება ხორციელდება მოსავლის აღებამდე შედგენილი **ექსპერტის** დასკვნის შესაბამისად, რომელსაც წარმოადგენს **ბანკი**. **ბანკის** მიერ წარმოდგენილი **ექსპერტის** დასკვნა არ გახდება სადაო **მეიჯარის** მიერ და ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად.

6.2. **იჯარის** ვადამდე შეწყვეტისას **მეიჯარემ** უნდა აუნაზღაუროს **ბანკს იჯარის** შეწყვეტიდან ერთი წლის განმავლობაში მისაღები სავარაუდო შემოსავალი. შემოსავლის ოდენობა დგინდება **ექსპერტის** დასკვნის შესაბამისად, რომელსაც წარმოადგენს **ბანკი**. **ბანკის** მიერ წარმოდგენილი **ექსპერტის** დასკვნა არ გახდება სადაო **მეიჯარის** მიერ და ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად.

7. განცხადებები და გარანტიები

7.1. **მეიჯარე** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

7.1.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი **კანონმდებლობით** დადგენილი წესით);

7.1.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

7.1.3. მომავალში **დანართის** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

7.1.4. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულები** იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, **ბანკის** ან **მესამე პირის** მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

7.1.5. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), **საკანონმდებლო** ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;

7.1.6. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შესრულებას;

7.1.7. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

7.1.8. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი **ხელშეკრულების** ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

7.1.9. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

7.1.10. მისთვის ცნობილია, რომ **ბანკის** პოლიტიკა მკაცრად კრძალავს დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ამა თუ იმ **პირის**, **ბანკის**, მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ან მისი კლიენტის მიერ სარგებლის მიღების, ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

7.1.11. მას (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილ **პირს**, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებული **პირს** ან/და მის აფილირებულ **პირს**:

7.1.11.1. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებას**; ან/და

7.1.11.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა **იჯარის** მოპოვების პროცესზე ან **ხელშეკრულების** დადებაზე, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა; ან/და

მეიჯარის ხელმოწერა /

...ულია ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა **ბანკის**, მისი ...ამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი ...ის ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული **პირის** მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის ...პირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით; ან/და

...ფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

...ის ან ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს მის დაუყოვნებლივ დისკვალიფიკაციას **იჯარის** მოპოვების ... ან/და **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი დისკვალიფიკაცია ან/და ...ლების ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შეწყვეტა არ გამორიცხავს **მეიჯარის** ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი ...რმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** პასუხისმგებლობას და ...ის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სისხლის სამართლის ...ისმგებლობასაც).

...**იჯარის** აღნიშნული **განცხადებები და გარანტიები** ძალაშია **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ...საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

მეიჯარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ **განცხადებებთან და გარანტიებთან** ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ბანკი** მხოლოდ **მეიჯარის** ზემოაღნიშნული **განცხადებების და გარანტიების** საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს **ხელშეკრულებას** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებას**.

8. მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები

8.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, **მხარეები**:

8.1.1 უფლებამოსილნი არიან სრულად და ჯეროვნად ისარგებლონ **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებებით;

8.1.2 მოვალენი არიან სრულად და ჯეროვნად შეასრულონ **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული ვალდებულებები.

8.2 თუ ის გარემოებები, რომლებიც **ხელშეკრულების** დადების საფუძველი გახდა, **ხელშეკრულების** დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და **ბანკი** არ დადებდა **ხელშეკრულებას** ან დადებდა სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინა, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **მეიჯარე** ვალდებულია უზრუნველყოს **ხელშეკრულების** მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. **ხელშეკრულების** შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებული იქნება შეცვლილი გარემოებების ზეგავლენის დონე **ხელშეკრულების** პირობებზე. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინამდებარე **პუნქტით** განსაზღვრული გარემოებების დადასტურების მიზნით **ბანკის** მიერ წარმოდგენილი მონაცემები **მეიჯარის** მიერ არ გახდება სადაო და ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული

9.1.1. **მეიჯარე** იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის გადაუხადოს **ბანკს** ერთჯერადი პირგასამტეხლო, ვალდებულების დარღვევის მომენტისათვის გადახდილი **საიჯარო ქირის** 5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ერთი წლის **საიჯარო ქირის** 5%–ისა, და ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) გადახდილი **საიჯარო ქირის** 0.5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ერთი წლის **საიჯარო ქირის** 0.5%–ისა;

9.1.2. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** დადგენილი წესით, ხოლო ზარალის ანაზღაურება **მხარეებს** არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).

9.2 მიუხედავად **ხელშეკრულების 9.1. პუნქტით** განსაზღვრული გარანტიებისა, **მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ბანკის** უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, **მეიჯარე** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, საკუთარი შეხედულებისამებრ:

9.2.1. არ გადაუხადოს **მეიჯარეს ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელი (**საიჯარო ქირა** და სხვა), რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) **მეიჯარის** მიერ **ბანკისათვის ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელის (პირგასამტეხლო, ზიანის (ზარალის) ანაზღაურება და სხვა) ანგარიშში; ან/და

9.2.2. **მეიჯარის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად; ან/და

9.2.3. შესაბამისი გადასახდელის ოდენობით **მეიჯარის** ნებისმიერი სახის **ანგარიშზე** არაუმეტეს ერთი წლის ვადით უაქცეპტოდ, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად დაუშვას **ოვერდრაფტი** და დაარიცხოს მას საპროცენტო სარგებელი.

10. ანგარიშსწორება

10.1. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

10.2. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა **საიჯარო ქირისა**, უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნეს) ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან, პირგასამტეხლოს მოთხოვნის დღიდან და სხვა) 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო **საბანკო დღე**.

10.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.

10.4. უნაღდო ანგარიშსწორებისას თანხები უნდა ჩაირიცხოს შესაბამისი **მხარის ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ან **მხარეთა** მიერ დამატებით შეთანხმებულ სხვა საბანკო ანგარიშზე.

11. კომუნიკაცია მხარეთა შორის

11.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე **მხარისათვის** შეტყობინების მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის ან **ბანკის** მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე **მხარის** მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

11.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

11.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია **ბანკის** მიერ, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია **მეიჯარის** მიერ, **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო **საბანკო დღეს**;

მეიჯარის ხელმოწერა

ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნილია **მეიჯარის** მიერ, **ბანკის** მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების
რიღიდან მეორე **საბანკო დღეს**; (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია **მეიჯარის** მიერ, **ბანკის** მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების
არიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.

არიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.

ღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ
საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების
ს თავს აარიდებს მის მიღებას.

ურთიერთობას განახორციელებენ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ
ებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე, რომელსაც ერთი **მხარე** აცნობებს მეორეს
ობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**,
ემდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება
როვნად შესრულებულად.

ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეტყობინების განხორციელება **ხელშეკრულების 11.1. პუნქტით** გათვალისწინებული
კომუნიკაციის კონკრეტულად ერთ–ერთი საშუალებით, ან განსხვავებული ფორმით.

კონფიდენციალურობა

მხარეები ვალდებული არიან, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც
დაიცვან მეორე **მხარისაგან** მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

12.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

12.2.1. რომელიც **კანონმდებლობის** დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები **მხარისათვის** მეორე **მხარის** მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

12.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება **მხარეთა** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე **მხარის** მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

12.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;

12.2.4. თუ ინფორმაციის **მესამე პირისთვის** გამჟღავნება მოხდება: ა) **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი **მხარე** სრულად აგებს პასუხს **მესამე პირის** მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე **მხარისგან** დამოუკიდებლად.

12.3. **ბანკი** უფლებამოსილია **მეიჯარის** შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს **მესამე პირს მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და **მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

13. პრეტენზიები და დავები

13.1. **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

13.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

13.3. მიუხედავად, **ხელშეკრულების 13.2. პუნქტით** განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ **მხარეთა** შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განსახილველად, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს არბიტრაჟს **ხელშეკრულების** **13.4. პუნქტით** განსაზღვრული საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, **მეიჯარე** სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ **პუნქტით** გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქვამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში.

13.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** (მათ შორის მისი **დანართიდან**) **ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი დავის **ხელშეკრულების 13.3. პუნქტით** გათვალისწინებული წესით არბიტრაჟისათვის გადაცემის შემთხვევაში:

13.4.1. სადაო საკითხ(ებ)ი განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შ.პ.ს. „დავების განმხილველი ცენტრს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204547348; ვებ-გვერდი: www.drc-arbitration.ge) (შემდგომში - **მუდმივმოქმედი არბიტრაჟი**), ან მის სამართალმემკვიდრეს;

13.4.2. საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება საქართველოში (ქ. თბილისში), ქართულ ენაზე, ქართული სამართლის ნორმების (**კანონმდებლობის**) შესაბამისად და **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტის/დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის და ამასთან, სრულად ან ნაწილობრივ არ იქნება შეუსაბამო ამ **პუნქტით** განსაზღვრულ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან **მხარეთა** დამატებითი წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული;

13.4.3. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, **მხარეთა** შორის დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელსაც საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ნიშნავს თავად **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან;

13.4.4. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, **მხარეთა** შორის დავა განიხილება **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან დანიშნული 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელთაგან თითო არბიტრს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტის/დებულების შესაბამისად ნიშნავს თითოეული **მხარე,** ხოლო მესამე არბიტრს - **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე. ამასთან:

13.4.4.1. მოსარჩელე არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მოპასუხე - მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში (თუ მოპასუხე წარმოდგენილია ერთზე მეტი პირით, მაშინ ვადის ათვლა იწყება საარბიტრაჟო სარჩელის ერთ-ერთი მათგანისათვის (ყველაზე ადრე ჩაბარების გათვალისწინებით) ჩაბარების შემდეგი დღიდან. თუ კი საარბიტრაჟო დავაში რომელიმე **მხარეს** მონაწილეობს ერთზე მეტი პირი, მათ ერთობლივად უნდა ისარგებლონ არბიტრის დანიშვნის უფლებით;

13.4.4.2. მესამე არბიტრის, რომელიც ამავე დროს იქნება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე, დანიშვნის უფლებას **მხარეები** გადასცემენ **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში;

13.4.4.3. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე **მხარე** არ დანიშნავს არბიტრს **ხელშეკრულების 13.4.4.1. ქვეპუნქტით** გათვალისწინებულ ვადაში ჩაითვლება, რომ ის უარს ამბობს ისარგებლოს არბიტრის უშუალოდ დანიშვნის უფლებით და რომ არბიტრის დანიშვნის უფლებას იგი გადასცემს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე არბიტრს ნიშნავს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან, შესაბამისი **მხარის** მიერ არბიტრის დანიშვნის ვადის გაშვებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

13.4.5. **ხელშეკრულების 13.4.3.** და **13.4.4. ქვეპუნქტის** პირობ(ებ)ის შესაბამისად არბიტრის დანიშვნის თანადროულად შესაბამისმა **მხარემ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს უნდა წარუდგინოს არბიტრობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა არბიტრობაზე;

13.4.6. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში, არბიტრს შეუწყდება უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი **მხარის** დასაბუთებული წერილობითი განცხადებით;

13.4.7. **მხარეს,** რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს და არბიტრებს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე **მხარე** არ დაეთანხმება აცილებას მისთვის არბიტრის აცილების თაობაზე წერილობითი განცხადების

მეიჯარის ხელმოწერა /

...დი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე
...ვიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის ეს გადაწყვეტილება
...საჩივრდება და **მხარეები** თანხმდებიან არბიტრის აცილების მოთხოვნით არ მიმართონ სასამართლოს;
...ლებამოსილების შეწყვეტიდან ან აცილებიდან/თვითაცილებიდან 7 (შვიდი) კალენდალური დღის ვადაში ამგვარი არბიტრის ნაცვლად
...ავს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან;
...ო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, **მხარეს** შეუძლია
...ლობით მიმართოს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების
...ების შესახებ. **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის
...ძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და უნდა აღსრულდეს შესაბამისად **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ
...მული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ზემოაღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის
...რუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვა და სასამართლოს მიერ მათი ცნობა არ არის საჭირო;
საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება მოპასუხისათვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემის მომენტიდან;
თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება:

...1. 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე;

...3.4.11.2. 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე.

13.4.12. საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებულ საარბიტრაჟო თუ სხვა მოსაკრებელს და გადასახდელს გადაიხდის/ანაზღაურებს და ხარჯებს გაიღებს/ანაზღაურებს წაგებული **მხარე**;

13.4.13. მოპასუხეს უფლება აქვს საარბიტრაჟო სარჩელზე შესაგებელი/შეპასუხება წარმოადგინოს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ჩაითვლება, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა შესაგებელზე/შეპასუხებაზე;

13.4.14. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შესაძლებელია გაიზარდოს გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ვადისა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც სხვა აუცილებელ შემადგენელ ნაწილებთან ერთად უნდა შეიცავდეს ასევე სამოტივაციო ნაწილს, უნდა გადასცეს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელი გადაწყვეტილებაც უნდა გადაეცეს **მხარეს** მისი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნისთანავე;

13.4.15. თითოეულ **მხარეს** უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მის მიერ მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მოთხოვოს საარბიტრაჟო სასამართლოს:

13.4.15.1. გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერითი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;

13.4.15.2. მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით;

13.4.15.3. გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში;

13.4.16. ყველა კომუნიკაცია **მხარეებს**, **მუდმივმოქმედ არბიტრაჟსა** და საარბიტრაჟო სასამართლოს შორის უნდა წარმოებდეს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** კანცელარიის მეშვეობით;

13.4.17. საარბიტრაჟო დავის განხილვის წესები და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება არც **ხელშეკრულებით**, არც **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტით/დებულებით და არც **კანონმდებლობით**, გადაწყდება **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო საარბიტრაჟო სასამართლოს ფორმირების შემდეგ - საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

14. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

14.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული **ხელშეკრულების დანართი N1**-ით (**დამატებითი პირობები**) (ასეთის არსებობისას) და ძალაშია **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

14.2. **იჯარა** ძალაში შედის **ხელშეკრულების** ძალაში შესვლისა და **იჯარის საგნის** ან/და **იჯარის საგანთან** დაკავშირებული საბუთების **ბანკისათვის** გადაცემის მომენტიდან (თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული **ხელშეკრულების დანართი N1**-ით (**დამატებითი პირობები**) (ასეთის არსებობისას), ხოლო **იჯარის რეესტრში** რეგისტრაციის აუცილებლობის შემთხვევაში - რეგისტრაციის მომენტიდან.

14.3. **მხარეები** უფლებამოსილი არ არიან ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტონ **იჯარა**, **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება**, თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14.4. **ხელშეკრულებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **იჯარის**, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

14.4.1. **ბანკის** მიერ თუ:

14.4.1.1. **მეიჯარის** მხრიდან **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერი ვალდებულების (მათ შორის, ფულადი ვალდებულების, **განცხადებების და გარანტიების**, ნებისმიერი პირობის ან/და სხვა ვალდებულების) სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, **ბანკი** უარს განაცხადებს **იჯარაზე**;

14.4.1.2. **მეიჯარე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განცხადებებს და გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

14.4.1.3. **იჯარის საგანი** საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას. აღნიშნული უნდა დადასტურდეს **ექსპერტის** დასკვნით. **ბანკის** მიერ წარმოდგენილი **ექსპერტის** დასკვნა **მეიჯარის** მხრიდან არ გახდება სადაო და ჩაითვლება კვალიფიციურ ინფორმაციად ან/და დოკუმენტაციად;

14.4.1.4. **იჯარის** პერიოდში სრულად ან ნაწილობრივ წაერთვა ან შეეზღუდა **იჯარის საგნით** სარგებლობის უფლება. სარგებლობის უფლების წართმევის ან შეზღუდვის პერიოდში **ბანკი** თავისუფლდება **საიჯარო ქირის** გადახდის ვალდებულებისაგან.

14.4.2. **მეიჯარის** მიერ, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, **ბანკის** მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის შემდეგ, თუ:

14.4.2.1. **ბანკი იჯარის საგანს** აზიანებს ან ქმნის დაზიანების რეალურ საშიშროებას. **ბანკის** მიერ **იჯარის საგნის** დაზიანება ან დაზიანების რეალური საშიშროების შექმნა უნდა დადასტურდეს **ექსპერტის** დასკვნით. აღნიშნულთან დაკავშირებით **მეიჯარის** მიერ წარმოდგენილი მონაცემები/დოკუმენტები შეიძლება სადაო გახდეს **ბანკის** მიერ;

14.4.2.2. **ბანკს** არ გადაუხდია 3 (სამი) თვის **საიჯარო ქირა**. **საიჯარო ქირის** გადაუხდელობად არ ჩაითვლება **ბანკის** მიერ **საიჯარო ქირის** გადახდაზე უარი **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებების საფუძველზე.

14.4.3. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

14.4.4. **ხელშეკრულებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევები, წინააღმდეგობაში არ მოდის **ხელშეკრულებასთან**.

14.5. **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების 14.4.1.1.**, **14.4.1.2.**, **14.4.1.3.**, **14.4.1.4.** და **14.4.4. ქვეპუნქტებით** გათვალისწინებული პირობების არსებობისას ცალმხრივად, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს **იჯარა**, **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება მეიჯარისათვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, **მეიჯარის** მიერ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამავე შეტყობინებით **იჯარის**, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივი შეწყვეტის სხვა ვადა ან/და პირობები არ არის გათვალისწინებული.

14.6. იმ შემთხვევაში, თუ **მეიჯარე კანონმდებლობის** საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ

მეიჯარის ხელმოწერა/

ეკრულება უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **ბანკს** მიზანშეწონილად მიაჩნია **ხელშეკრულების** უფრო მოკლე ვადებში
ულება შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.
ლი **იჯარის** შემთხვევაში, თუ **ბანკმა** ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტა **იჯარა** ან/და **ხელშეკრულება**:
მდინარე **ბანკის** ვალდებულებები (მათ შორის **საიჯარო ქირის** გადახდის ვალდებულება) შესაბამისად სრულად ან ნაწილობრივ
ჩაითვლება **ხელშეკრულებით იჯარის** ცალმხრივად შეწყვეტისათვის განსაზღვრული ვადის გასვლისთანავე მიუხედავად იმისა
ნული შეწყვეტა რეგისტრირებულია თუ არა **რეესტრში**;
ვალდებულია **იჯარის** ან/და **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით
ატუროს **რეესტრს** თანხმობა **იჯარის** ან/და **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში **იჯარის** ან/და
ეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტაზე თანხმობა გაცემულად ჩაითვლება **მეიჯარის** მიერ და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **მეიჯარის**
ატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე მოითხოვოს **იჯარის** ან/და **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის რეგისტრაცია
ესტრში.
იჯარის, ხელშეკრულების ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მეიჯარეს ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი დარჩენილი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულებების და პასუხისმგებლობის იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.
თუ **იჯარის, ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

15. ცვლილებები და დამატებები

15.1. **ხელშეკრულებაში** ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით **მხარეთა** შეთანხმებით.

15.2. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს.

15.3. თუ ცვლილებები და დამატებები თავისი შინაარსით საჭიროებენ **რეესტრში** რეგისტრაციას, ძალაში შედიან მათი **რეესტრში** რეგისტრაციის შემდგომ.

16. ხელშეკრულების პირობების მოქმედება მეიჯარის მიმართ

16.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** მიზნებისათვის, **მეიჯარის** დეფინიციაში მოცემულ **პირზე ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობები გავრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი **პირის** სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი. ასევე, ფიზიკური პირის ასაკი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ **პირზე**.

16.2. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი **მეიჯარე**:

16.2.1. თითოეული ასეთი **მეიჯარე** წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებებზე;

16.2.2. თითოეული **მეიჯარის** სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად **ბანკის** სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

16.2.3. ერთ-ერთ **მეიჯარესთან** დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა **მეიჯარის** მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკის** მიერ რომელიმე **მეიჯარის** მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა **მეიჯარეზე** და არ ათავისუფლებს მას/მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

16.2.4. ერთ-ერთი **მეიჯარის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **მეიჯარეს** და მის მიმართ ისარგებლოს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.

17. სხვა პირობები

17.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **ხელშეკრულების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

17.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

17.3. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

17.4. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

17.5. **ხელშეკრულებაში** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებაში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული ტერმინები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

17.6. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

17.7. **ხელშეკრულებაში** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაში** გამოქვეყნებული ტექსტი მოყვანილია განმარტებულ ტერმინთა გამოსაყოფად, მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

17.8. **ხელშეკრულების დანართსა** და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაზე** სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **ხელშეკრულების** და **ხელშეკრულების დანართსა** თუ **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი **დანართის** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **დანართი** თუ **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება**.

17.9. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დებულებ(ებ)ის არსებობა/არარსებობასთან, მათ შინაარსთან, განმარტებასთან ან/და განხორციელებასთან დაკავშირებით **მხარეთა** შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება **ბანკში** დაცულ ეგზემპლარს. ამასთან, ამ უკანასკნელ დებულებასთან მიმართებით ყოველგვარი ეჭვის ან/და დავის გამორიცხვის მიზნით, **მეიჯარე** ვალდებულია ხელი მოაწეროს **ხელშეკრულების** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** (მათი **დანართის** ჩათვლით) **ბანკში** დაცული ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, მაგრამ **მეიჯარის** მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ ხდის ამ **პუნქტით** გათვალისწინებულ დებულებას საეჭვოს ან სადაოს.

17.10. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ან/და მისი/მათი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით **კანონმდებლობა** სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

17.11. **მეიჯარეს** უფლება არა აქვს **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირს** გადასცეს ან გადააბაროს მასზე **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** (მათ შორის, მათი **დანართით**) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. **ბანკის** უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა **კანონმდებლობით** ცალსახად განსაზღვრული

მეიჯარის ხელმოწერა /

...თან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ **მეიჯარემ** პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები არ გამორიცხავს **ბანკის** **...მესამე პირისაგან** შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა **მეიჯარე**.

... განიმარტება და რეგულირდება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ...ით ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ...ის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.

...ლება ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულები** შედგნილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე **მხარემ** არ იცის ქართული ენა ან/და ...წერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ **მხარეს** სურს, მაშინ **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულები** შესაძლოა შედგეს ...დოს ასევე **მხარეთათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისას ...ატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, **მხარეთა** შორის ურთიერთობაზე ან/და ...შეკრულების ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.
...ელშეკრულების თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა **მხარეებს**.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/_____/

მეიჯარე

/_____/

მეიჯარის ხელმოწერა /_____/

იჯარის ხელშეკრულების
დამატებითი პირობები N1- T CH 181/07

ქ. თბილისი

31 ივლისი 2015 წელი

კი:

	ბელწოდება (საფირმო):	ს.ს. „საქართველოს ბანკი";
	აიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
	სახელი და გვარი:	თორნიკე გოგიჩაიშვილი;
	თანამდებობა/სტატუსი:	საოპერაციო დირექტორი;
	მეიჯარე:	
2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს ,,PP";
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	404922474;
1.2.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.2.1.	სახელი და გვარი:	ლაურა ღაჭავა;
1.2.1.2.2.	პირადი ნომერი:	01017003216;
1.2.1.2.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი

მხარეები თანხმდებიან შემდეგ დამატებით პირობებზე:

2. მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები

2.1. **ხელშეკრულებიდან** ამოღებული იქნას **5.4 – 5.7 პუნქტები.** ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ მათ შორის ურთიერთობაში არ იქნება გამოყენებული **ხელშეკრულებაში ინვენტართან** დაკავშირებით განსაზღვრული პირობები.

2.2. შეიცვალოს **ხელშეკრულების 5.11 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,5.11 თუ **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში **იჯარის საგნის** შემოწმებისას **მხარეები** დაადგენენ, რომ **ბანკისათვის** გადასაცემი **იჯარის საგანი ნაკლის** მქონეა **ბანკი** უფლებამოსილია **მეიჯარეს** განუსაზღვროს გონივრულ ვადა აღნიშნული **ნაკლის** გამოსასწორებლად."

2.3. შეიცვალოს **ხელშეკრულების 5.13 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,5.13 თუ **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში გამოვლინდა **იჯარის საგნის ნაკლი ბანკის** მიერ **იჯარის საგნის ნაკლის** აღმოსაფხვრელად გაწეულ აუცილებელ დანახარჯებს აანაზღაურებს **მეიჯარე**."

2.4. შეიცვალოს **ხელშეკრულების 5.15 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,5.15 **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **იჯარის საგნის** მიმდინარე რემონტი, მათ შორის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასევე სამუშაოები, რომელიც არ გულისხმობს რეკონსტრუქციას, მაგრამ გამოიწვევს **იჯარის საგნის** კონფიგურაციის შეცვლას/გადაკეთებას ან/და მცირე არქიტექტურული ელემენტების დამატებას/მოკლებას."

2.5. შეიცვალოს **ხელშეკრულების 5.17 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,5.17 **იჯარის საგნის** განკარგვისას, **მეიჯარე** ვალდებულია **იჯარის საგანი** გაასხვისოს იმ პირობით, რომ ახალ მესაკუთრეზე სრულად გავრცელდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მეიჯარის** უფლება–მოვალეობები და აღნიშნულის შესახებ 15 (თხუთმეტი) **საბანკო დღით** ადრე შეატყობინოს **ბანკს**."

2.6. შეიცვალოს **ხელშეკრულების 5.18 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,5.18 **მეიჯარის** მიმართ საკუთარი მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად დაკმაყოფილების მიზნით, თუ **მეიჯარე ბანკის** შეტყობინებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში ვერ უზრუნველყოფს ბანკის მოთხოვნების სარულად და ჯეროვნად შესრულებას, **ბანკს** უფლება აქვს დააკავოს **იჯარის საგანი**, აღნიშნული პერიოდი ან ამავე პერიოდში **იჯარის საგნის** გამოყენება არ განიხილება **იჯარის** ვადის განახლებად ან/და გაგრძელებად და **ბანკს** არ ეკისრება **საიჯარო ქირის** გადახდა ან/და **საიჯარო ქირის** გადაუხდელობის გამო ზიანის (ზარალის) ანაზღაურება;"

2.7. **ხელშეკრულებიდან** ამოღებული იქნას **მე-6 პუნქტი**;

2.8. **ხელშეკრულებიდან** ამოღებული იქნას **8.2 პუნქტი**;

2.9. შეიცვალოს **ხელშეკრულების 9.1.1 ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,9.1.1 თითოეული **მხარე** იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისათვის გადაუხადოს მეორე **მხარეს** ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) გადახდილი **საიჯარო ქირის** 0.5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ერთი წლის **საიჯარო ქირის** 0.5%–ისა;"

2.10. **ხელშეკრულებიდან** ამოღებული იქნას **9.2.3 ქვეპუნქტი.** ამასთან **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **ბანკის** მიერ **9.2. პუნქტით** განსაზღვრული უფლებებით სარგებლობის შემდგომ სასამართლო გადაწყვეტილებით ან **მხარეთა** შეთანხმებით დადგინდა, რომ მეიჯარის მხრიდან ადგილი არ ჰქონია შესაბამისი ვალდებულებების არასრულ ან/და არაჯეროვან შესრულებას და **ბანკის** მიერ **9.2 პუნქტით** განსაზღვრული უფლებებით სარგებლობა განხორციელდა არაჯეროვნად, **ბანკი** ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს **მეიჯარეს** აღნიშნულის შედაგად მიყენებული ზიანი (ზარალი).

2.11. შეიცვალოს **ხელშეკრულების 14.4.1.1 ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,14.4.1.1. თუ **ბანკი** არანაკლებ 3 (სამი) თვით ადრე წერილობით აცნობებს **მეიჯარეს** იჯარის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინება არ საჭიროებს მეიჯარის მხრიდან დამატებით თანხმობას ან/და აქცეპტს."

2.12. შეიცვალოს **ხელშეკრულების 14.4.2.2 ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,14.4.2.2. **ბანკს** არ გადაუხდია 2 (ორი) თვის **საიჯარო ქირა**. **საიჯარო ქირის** გადაუხდელობად არ ჩაითვლება **ბანკის** მიერ **საიჯარო ქირის** გადახდაზე უარი **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებების საფუძველზე."

2.13. შეიცვალოს **ხელშეკრულების 14.4.1.4 ქვეპუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,14.4.1.4 **იჯარის** პერიოდში, **მეიჯარის** მიზეზით, სრულად ან ნაწილობრივ წაერთვა ან შეეზღუდა **იჯარის საგნით** სარგებლობის უფლება. სარგებლობის უფლების წართმევის ან შეზღუდვის პერიოდში **ბანკი** თავისუფლდება **საიჯარო ქირის** გადახდის ვალდებულებისაგან."

2.14. შეიცვალოს **ხელშეკრულების 14.5 პუნქტი** და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„14.5 ბანკი უფლებამოსილია **ხელშეკრულების 14.4.1.2., 14.4.1.3., 14.4.1.4.** და **14.4.4. ქვეპუნქტებით** გათვალისწინებული პირობების არსებობისას ცალმხრივად, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს **იჯარა, ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება მეიჯარისათვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, **მეიჯარის** მიერ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამავე შეტყობინებით **იჯარის, ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივი შეწყვეტის სხვა ვადა ან/და პირობები არ არის გათვალისწინებული."

2.15. **მხარეები** ადასტურებენ, რომ თუ **იჯარა** ვადამდე შეწყდა **მეიჯარის** მიერ ვალდებულებების დარღვევის გამო, **ბანკი** უფლებამოსილია სრულად მოითხოვოს იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომელიც **ბანკის** მიერ გაწეული იქნება **იჯარის საგნის ბანკისათვის** გადმოცემის შემდგომ, პირველ ჯერზე შესაბამისი სარემონტო სამუშაოების განხორციელებისას, მონაცემებს პირველ ჯერზე გაწეული სამუშაოების ოდენობის შესახებ **ბანკი მეიჯარეს** მიაწვდის, **მეიჯარის** მოთხოვნის შემთხვევაში წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით. აღნიშნული მონაცემები მიჩნეული იქნება, როგროც უტყუარი და ზუსტი და არ გახდება სადავო **მეიჯარის** მხრიდან.

მხარეთა ხელმოწერები

მეიჯარე

იჯარის ხელშეკრულების
დანართი Nა (უძრავი ნივთი) – T CH 181/07

31 ივლისი 2015 წელი

	T CH 181/07; 31.07.2015 წელი;
ნი: რო კოდი: თი: ნაკვეთი: ბა-ნაგებობა: ობა-ნაგებობის ერთეული: ზობრივი ნაგებობა:	 01.14.14.012.027.01.01.501; ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N29; -; -; სართული 1, 1383 კვ.მ. -დან 614.50 კვ.მ. -;
იჯარის საგანთან, ინვენტართან, საკუთვნებელთან დაკავშირებული საბუთების ნუსხა:	-;
იჯარის საგანთან, ინვენტართან, საკუთვნებელთან დაკავშირებული არარეგისტრირებული ვალდებულებები:	-;
იჯარის საგნის დანიშნულება:	კომერციული მიზნებისათვის;
მიწოდების ვადა ან/და პირობები:	**იჯარის საგნის ბანკისათვის** გადაცემა განხორციელდება **იჯარის** ძალაში შესვლის დღიდან;
იჯარის ვადა:	10 (ათი) წელი;
საიჯარო ქირა: პერიოდულობა და მოცულობა:	ა) **იჯარის** ძალაში შესვლიდან პირველი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში თვეში 1 კვ.მ. - 15 (თხუთმეტი) აშშ დოლარი; ბ) შემდგომი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში თვეში 1 კვ.მ. - 20 (ოცი) აშშ დოლარი;
დამატებული ღირებულების გადასახადი:	**საიჯარო ქირა** მოიცავს **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ დამატებული ღირებულების გადასახადს;
სხვა გადასახადები და გადასახდელები:	**საიჯარო ქირა** მოიცავს **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა სახის გადასახდელს და გადასახადს;
გადახდის პირობები:	არაუგვიანეს შესაბამისი მიმდინარე თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა.
იჯარის საგნის, ინვენტარის, საკუთვნებელის ან/და მათთან დაკავშირებული საბუთების ან მისი/მათი ნაწილის **მიღება–ჩაბარება**:	**იჯარის საგნის, ინვენტარის, საკუთვნებელის** ან/და მათთან დაკავშირებული საბუთების ან მისი/მათი ნაწილის **მიღება–ჩაბარება** საჭიროებს **მიღება–ჩაბარების** აქტით დადასტურებას;

2. **იჯარის საგანი:**

საკადასტრო კოდი: მისამართი: **მიწის ნაკვეთი:** **შენობა-ნაგებობა:** **შენობა-ნაგებობის ერთეული:** **ხაზობრივი ნაგებობა:**	01.14.14.012.027.01.01.500; ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N29; -; -; სართული 2, 1384 კვ.მ. -დან 631.21 კვ.მ. -;
იჯარის საგანთან, ინვენტართან, საკუთვნებელთან დაკავშირებული საბუთების ნუსხა:	-;
იჯარის საგანთან, ინვენტართან, საკუთვნებელთან დაკავშირებული არარეგისტრირებული ვალდებულებები:	-;
იჯარის საგნის დანიშნულება:	კომერციული მიზნებისათვის;
მიწოდების ვადა ან/და პირობები:	**იჯარის საგნის ბანკისათვის** გადაცემა განხორციელდება **იჯარის** ძალაში შესვლის დღიდან;
იჯარის ვადა:	10 (ათი) წელი;
საიჯარო ქირა: პერიოდულობა და მოცულობა:	ა) **იჯარის** ძალაში შესვლიდან პირველი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში თვეში 1 კვ.მ. - 15 (თხუთმეტი) აშშ დოლარი; ბ) შემდგომი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში თვეში 1 კვ.მ. - 20 (ოცი) აშშ დოლარი;
დამატებული ღირებულების გადასახადი:	**საიჯარო ქირა** მოიცავს **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ დამატებული

მეიჯარის ხელმოწერა /

ასახდელები:

ღირებულების გადასახადს;
საიჯარო ქირა მოიცავს **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა სახის გადასახდელს და გადასახადს;
არაუგვიანეს შესაბამისი მიმდინარე თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა.

ინვენტარის, საკუთვნებელის ან/და მათთან
ი საბუთების ან მისი/მათი ნაწილის **მიღება–ჩაბარება**:

იჯარის საგნის, ინვენტარის, საკუთვნებელის ან/და მათთან დაკავშირებული საბუთების ან მისი/მათი ნაწილის **მიღება–ჩაბარება** საჭიროებს **მიღება–ჩაბარების** აქტით დადასტურებას;

ანსაკუთრებული პირობები:

მხარეები ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისათვის შენობა, რომელშიც მდებარეობს **იჯარის საგანი** არის მშენებარე და აღნიშნულის გათვალისწინებით თანხმდებიან, რომ:
ა) **იჯარის საგნის ბანკის** კომერციული მიზნებისათვის გამოსაყენებლად საჭიროა **მეიჯარემ** უზრუნველყოს:

1. იმ შენობის გადახურვის სამუშაოების დასრულება (ჰიდროიზოლაცია), სადაც განთავსებულია **იჯარის საგანი.**
2. შენობამდე, სადაც განთავსებულია **იჯარის საგანი,** გარე კომუნიკაციების (კანალიზაცია, დენი, წყალი) მიყვანა.
3. **იჯარის საგანში** ყველა საჭირო კომუნიკაციის (ერთმნიშვნელოვნად წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, ინტერნეტით, ტელეფონით და ა.შ.)მათ შორის, სხვა ფართებთან დამაკავშირებელი კომუნიკაციების მოწყობა/გაყვანა.
4. ყველა საჭირო მოქმედების განხორციელება, რაც საჭირო იქნება **ბანკის**, იმისათვის, რომ **ბანკი** დარეგისტრირდეს აბონენტად ელექტროენერგიისა და წყლის კომუნალური გადასახადის გადახდის მიზნით.
5. გარე ბლოკების გამოყოფა გაგრილების სისტემისათვის, რომლის მონტაჟს უზრუნველყოფს **ბანკი.**
6. შენობის ფასადის მოწესრიგება შესაბამისი მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული ფორმით (მათ შორის ფიგურების განთავსება ფასადზე, ღებვა, წინამდებარე ტროტუარის მოწესრიგება, საფეხურების მოწესრიგება).

ბ) **იჯარის საგნის** ფასადის ნაწილზე საკუთარი ხარჯებით ამონტაჟებს ფასადის პროფილებსა და მინებს, ასევე **ბანკი** მოაწყობს **იჯარის საგანში** სართულებს შორის დამაკავშირებელ კიბეს, თავის მხრივ **მეიჯარემ** უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სამუშაოების ასახვას შესაბამისი შენობის პროექტში (აღნიშნული ცვლილებები პროექტში სრულად უნდა იყოს ასახული შენობის ექსპლუატაციაში მიღებისას.
ბ) **იჯარის საგნის** პროექტირებას/გატიხვრას განახორციელებს **ბანკი** თავისი ხარჯებით.
გ) **ბანკი** უფლებამოსილია **იჯარის საგნის**/შენობის შესაბამისი ნაწილის გარე ფასადზე განათავსოს სარეკლამო ბანერი, საკუთარი შეხედულებისამებრ, **მეიჯარის** შემდგომი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე, ხოლო **მეიჯარე** იღებს ვალდებულებას თავის მხრივ უზრუნველყოს **ბანკის** მიერ აღნიშნული ბანერის განთავსების შესაძლებელობა, მათ შორის შენობის ექსპლუატაციაში შესვლამდე (მათ შორის მოიპოვოს ყველა საჭირო თანხმობა/ნებართვა).
დ) **მეიჯარე** იღებს ვალდებულებას **იჯარის** მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს **ბანკი** ავტომობილის სადგომი 5 (ხუთი) ადგილით, აღნიშნულის სანაცვლოდ **ბანკი მეიჯარეს** გადაუხდის 150 (ას ორმოცდაათი) ლარს (**საიჯარო ქირის** დამატებით) ერთი ადგილისათვის. ავტომობილის სადგომები განლაგებული უნდა იყოს იმავე მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია **იჯარის საგანი**, ამასთან ავტომობილის სადგომების კონკრეტულ განლაგებაზე **მხარეები** შეთანხმდებიან დამატებით.
ე) **ბანკი** იღებს ვალდებულებას, რომ ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდიდან გამომდინარე **საიჯარო ქირის** გარდა **მეიჯარეს** დამატებით ერთჯერადად გადაუხადის ტრანსფორმატორისა და მისი მოწყობისათვის აუცილებელი ხარჯებს **ბანკის იჯარის საგნის** ყოველ 1 კვ.მ-ზე 6 (ექვსი) ლარის ოდენობით.

მხარეები ადასტურებენ, რომ **იჯარა** ძალაში შევა (მათ შორის **საიჯარო ქირის** თვლა განხორციელდება) მხოლოდ მას შემდეგ, რაც **მეიჯარე** სრულად უზრუნველყოფს წინამდებარე **პუნქტის „ა" ქვეპუნქტით** გათვალისწინებულ პირობებს და აღნიშნული დადასტურდება **მხარეთა** შორის გაფორმებული **მიღება-ჩაბარების** აქტით.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი /_____/

მეიჯარე /_____/

მეიჯარის ხელმოწერა /_____/

იჯარის ხელშეკრულების
დამატებითი პირობები N1- T CH 181/07-001

ქ. თბილისი

31 ივლისი 2015 წელი

ბანკი:

	სახელწოდება (საფირმო):	ს.ს. „საქართველოს ბანკი";
	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
.1.	სახელი და გვარი:	თორნიკე გოგიჩაიშვილი;
.2.2.	თანამდებობა/სტატუსი:	საოპერაციო დირექტორი;

1.2. მეიჯარე:

1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს „PP";
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	404922474;
1.2.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.2.1.	სახელი და გვარი:	ლაურა ღაჭავა;
1.2.1.2.2.	პირადი ნომერი:	01017003216;
1.2.1.2.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი

მხარეები თანხმდებიან შემდეგ დამატებით პირობებზე:

2. **მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები**

2.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საიჯარო ქირის** გადახდა მოხდება ყოველი მიმდინარე თვის 10 (ათი) რიცხვისა;

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი /_____/

მეიჯარე /_____/

მეიჯარის ხელმოწერა /_____/

იჯარის ხელშეკრულების
დანართი №გ - მიღება–ჩაბარების აქტი - T CH 181/07-001

ქ. თბილისი 1 თებერვალი 2016 წელი

1. **მხარეები**

1.1.	**ბანკი:**	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	ს.ს. „საქართველოს ბანკი";
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
1.1.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.1.1.2.1.	სახელი და გვარი:	თორნიკე გოგიჩაიშვილი (პ/ნ 01010005109);
1.1.1.2.2.	თანამდებობა/სტატუსი:	საოპერაციო დირექტორი;
1.2.	**მეიჯარე:**	
1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს "PP";
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	404922474;
1.2.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.2.1.	სახელი და გვარი:	ლაურა ღაჭავა;
1.2.1.2.2.	პირადი ნომერი:	01017003216;
1.2.1.2.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;

2. **მეიჯარის** მიერ გადაცემული და **ბანკის** მიერ მიღებული **იჯარის საგნის** ან/და **იჯარის საგანთან** დაკავშირებული საბუთების ან/და მისი/მათი ნაწილის აღწერა: **მხარეები** ადასტურებენ, რომ **იჯარის ხელშეკრულების დანართი #ა (უძრავი ნივთი) – TCH181/07**-ით (31.07.2015წ.) გათვალისწინებული განსაკუთრებული პირობების **„ა" პუნქტში** მოცემული პირობები სრულად შესრულებულია და **ბანკის** მიერ მოხდა **იჯარის საგნის** მიღება.

3. **„გ" დანართი** წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება.

4. **„გ" დანართის** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა **მხარეებს**.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/_____/

მეიჯარე

/_____/

მეიჯარის ხელმოწერა /_____/

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.14.012.027.01.01.501

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016061726 - 05/02/2016 17:20:30

მომზადების თარიღი
10/02/2016 11:01:39

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	ვაკე			
01	14	14	012/027	01/01/501

მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:2028.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 12;
შენობა-ნაგებობები: N1 (მშენებარე) საერთო ფართობი: 13458 კვ.მ. მათ შორის: საოფისე ფართობი 6954.1 კვ.მ., კომერციული ფართობი 3076.7 კვ.მ., საბაფხულო ფართობი 1298.10 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1530 კვ.მ., კიბის უჯრედის ფართობი 499.9 კვ.მ., აუზის ფართობი 99.20 კვ.მ.

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013312441 , თარიღი 04/07/2013 12:11:16
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/07/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- შპს "PP"-ს 100%-იანი დამფუძნებლისა და დირექტორის ლაურა ღაჭავას გადაწყვეტილება , გაფორმების თარიღი:21/03/2013 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს PP , ID ნომერი:404922474

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
შპს PP	საკუთრება	კომერციული ფართი (მშენებარე)	სართული1, 1383.00 კვ.მ.	

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015271878 თარიღი 19/05/2015 11:09:02

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
მესაკუთრე: შპს "PP" 404922474;
საგანი:კომერციული ფართი სართული1, 1383.00 კვ.მ;

იპოთეკის ხელშეკრულება #CAH000101629, რეესტრის ნომერი N150506102, დამოწმების თარიღი18/05/2015, ნოტარიუსი ი. შარვაძე

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/05/2015

საგადასახადო გირავნობა:

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015157590** თარიღი **23/03/2015 12:29:39**	მოიჯარე: შპს **"501"** 202060303; მესაკუთრე: შპს **"PP"** 404922474; საგანი:კომერციული ფართი,სართული1, 633.5 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:31/12/2024; იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი06/08/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **24/03/2015**	
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015175139** თარიღი **30/03/2015 13:15:54**	მოიჯარე: შპს "მეგასპორტი"205244216; მესაკუთრე: შპს **"PP"** 404922474; საგანი:კომერციული ფართი: 135 კვ.მ; საბოლოო თარიღი:26/03/2020; იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი30/03/2015, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **03/04/2015**	
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882016061726** თარიღი **05/02/2016 17:20:30**	მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869; მესაკუთრე: შპს **"PP"** 404922474; საგანი:სართული1,1383 კვ.მ.-დან 614.50 კვ.მ. ფართი.; ვადა:10 წელი; იჯარის ხელშეკრულება N T CH 181/07, რეესტრის ნომერი N150824961, დამოწმების თარიღი31/07/2015, ნოტარიუს ი. შარვაძის შემცვლელი პირი თ.მაჭავარიანი
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **10/02/2016**	იჯარის ხელშეკრულება N T CH 181/07, რეესტრის ნომერი N150824975, დამოწმების თარიღი31/07/2015, ნოტარიუს ი. შარვაძის შემცვლელი პირი თ.მაჭავარიანი

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015275318** თარიღი **20/05/2015 11:03:26**	მეორე მხარე: სააქციო საზოგადოება **m2** უძრავი ქონება204517399; პირველი მხარე: შპს **"PP"** 404922474; საგანი:კომერციული ფართი სართული1 ფართი 1383.00 კვ.მ. ; წინამძღვარე უძრავი ქონების (ან მისი ნაწილის) განკარგვა (საკუთრებაში ან სარგებლობაში (მ.შ იჯარით ან ქირით) გადაცემა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გარდაქმნა,გაყოფა ან/და გაერთიანება სხვა საგანთან და სხვ.) დასაშვებია მხოლოდ ს.ს საქართველოს ბანკის (ს/კ 204378869) წინასწარი წერილობითი თანხმობით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **27/05/2015**	შეთანხმება N01.14.14.012.027, რეესტრის ნომერი N150506112, დამოწმების თარიღი18/05/2015, ნოტარიუსი ი. შარვაძე ,
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015275443** თარიღი **20/05/2015 11:24:59**	მეორე მხარე: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869; პირველი მხარე: შპს **"PP"** 404922474; საგანი:კომერციული ფართი სართული1 ფართი 1383.00 კვ.მ. ; წინამდებარე უძრავი ქონების (ან მისი ნაწილის) გარდაქმნა,გაყოფა, ან/და გაერთიანება სხვა საგანთან დასაშვებია მხოლოდ ს.ს "საქართველოს ბანკის (204378869) წინასწარი წერილობითი თანხმობით.;
უფლების	

ყველა
რეგისტრაცია: თარიღი 30/06/2015 შეთანხმება N01.14.14.012.027, რეესტრის ნომერი N150506112, დამოწმების თარიღი18/05/2015, ნოტარიუსი ი. შარვაძე

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ერთიანი სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, ოპერაციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ოპერაციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ–ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.14.012.027.01.01.500

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016061751 - 05/02/2016 17:24:46

მომზადების თარიღი
11/02/2016 12:55:21

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	ვაკე			
01	14	14	012/027	01/01/500

მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:2028.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 12;
შენობა-ნაგებობები: N1 (მშენებარე) საერთო ფართობი: 13458 კვ.მ. მათ შორის: საოფისე ფართობი 6954.1 კვ.მ., კომერციული ფართობი 3076.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1298.10 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1530 კვ.მ., კიბის უჯრედის ფართობი 499.9 კვ.მ., აუზის ფართობი 99.20 კვ.მ.

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013312452 , თარიღი 04/07/2013 12:13:09
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/07/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- შპს "PP"-ს 100%-იანი დამფუძნებლისა და დირექტორის ლაურა ღაჭავას გადაწყვეტილება , გაფორმების თარიღი:21/03/2013 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს PP , ID ნომერი:404922474

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
შპს PP	საკუთრება	კომერციული ფართი (მშენებარე)	სართული2,	1384.00 კვ.მ.	

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015271896 თარიღი 19/05/2015 11:11:28

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
მესაკუთრე: შპს PP 404922474;
საგანი:კომერციული ფართი, სართული2, ფართი 1384.00 კვ.მ. ;

იპოთეკის ხელშეკრულება N CAH000101629, რეესტრის ნომერი N150506102, დამოწმების თარიღი18/05/2015, ნოტარიუსი ი.შარვაძე

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/05/2015

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882016061751** თარიღი **05/02/2016 17:24:46**	მეიჯარე: **შპს PP** 404922474; **მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"**204378869; საგანი:კომერციული ფართი 1384.00 კვ.მ-დან ფართი 631.21 კვ.მ.; ვადა:10 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **11/02/2016**	**იჯარის ხელშეკრულება N T CH 181/07, რეესტრის ნომერი N150824961, დამოწმების თარიღი31/07/2015, ნოტარიუს ი. შარვაძის შემცვლელი პირი თ.მაჭავარიანი** **იჯარის ხელშეკრულება N T CH 181/07, რეესტრის ნომერი N150824975, დამოწმების თარიღი31/07/2015, ნოტარიუს ი. შარვაძის შემცვლელი პირი თ.მაჭავარიანი**

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015275360** თარიღი **20/05/2015 11:08:59**	**მეორე მხარე: სააქციო საზოგადოება m2 უძრავი ქონება**204517399; **პირველი მხარე: შპს "PP"** 404922474; საგანი:კომერციული ფართი სართული2 ფართი 1384.00 კვ.მ. ; წინამდებარე უძრავი ქონების (ან მისი ნაწილის) განკარგვა (საკუთრებაში ან სარგებლობაში (მ.შ იჯარით ან ქირით) გადაცემა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გარდაქმნა,გაყოფა ან/და გაერთიანება სხვა საგანთან და სხვ.) დასაშვებია მხოლოდ ს.ს საქართველოს ბანკის (ს/კ 204378869) წინასწარი წერილობითი თანხმობით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **27/05/2015**	**შეთანხმება N01.14.14.012.027, რეესტრის ნომერი N150506112, დამოწმების თარიღი18/05/2015, ნოტარიუსი ი. შარვაძე ,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015275467** თარიღი **20/05/2015 11:29:07**	**მეორე მხარე: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"**204378869; **პირველი მხარე: შპს "PP"** 404922474; საგანი:კომერციული ფართი სართული2 ფართი 1384.00 კვ.მ. ; წინამდებარე უძრავი ქონების (ან მისი ნაწილის) გარდაქმნა,გაყოფა, ან/და გაერთიანება სხვა საგანთან დასაშვებია მხოლოდ ს.ს "საქართველოს ბანკის (204378869) წინასწარი წერილობითი თანხმობით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **30/06/2015**	**შეთანხმება N01.14.14.012.027, რეესტრის ნომერი N150506112, დამოწმების თარიღი18/05/2015, ნოტარიუსი ი. შარვაძე ,**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს ღეკლარაციის საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც ეწევის პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის სამართლობის გადამოწმება შესაძლებელია სახარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, ოსტატიის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ოსტატიის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სახარო რეესტრის თანამშრომელია მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ–ფოსტით: info@napr.gov.ge

იჯარის ხელშეკრულების N TCH 181/07
დანართი N1-005
(დამატებითი პირობები)

ქ. თბილისი

13 მაისი 2021 წელი

1. მხარეები

1.1.	**ბანკი:**	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	ს.ს. „საქართველოს ბანკი";
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
1.1.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.1.1.2.1.	სახელი და გვარი:	დავით დავითაშვილი;
1.1.1.2.2.	თანამდებობა/სტატუსი:	ოპერაციული დირექტორის მოადგილე;
1.2.	**მეიჯარე:**	
1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს გლემი:
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	405443177;
1.2.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.2.1.	სახელი და გვარი:	ვანო გიგლემიანი;
1.2.1.2.2.	პირადი ნომერი:	01017012662
1.2.1.2.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;

იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის 28 აპრილს **იჯარის საგნის** (მისამართი: ქ. თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე N29, ს/კ 01.14.14.012.027.01.06.502; 01.14.14.012.027.01.01.502) მესაკუთრე შეიცვალა და შპს „კომერც გრუპის" (ს/კ 405028205) ნაცვლად **იჯარის საგნის** მესაკუთრედ განისაზღვრა შპს „გლემი" (ს/კ 405443177), **მხარეები** თანხმდებიან შემდეგ პირობებზე:

2. მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები

1.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ:

1.1.1. 2021 წლის 28 აპრილს, **გარიგებით** გათვალისწინებულ ურთიერთობაში **იჯარის საგნის** ყოფილი მესაკუთრე - შპს „კომერც გრუპი" (ს/კ405028205) ჩაანაცვლა ახალმა მესაკუთრემ - შპს „გლემი" (ს/კ405443177), შესაბამისად **მეიჯარის** ადგილი დაიკავა შპს „გლემ"-მა (ს/კ405443177).

1.1.2. 2021 წლის 1 მაისიდან **საიჯარო ქირის** გადახდა განხორციელდება **მეიჯარის** შემდეგ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით: სს „საქართველოს ბანკი", BAGAGE22, GE94BG0000000498694160;

1.1.3. 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით **საიჯარო ქირა** სრულად მიღებული აქვს ყოფილ მესაკუთრეს - შპს „კომერც გრუპს" (ს/კ 405028205), რაზედაც **მეიჯარეს** პრეტენზია არ გააჩნია;

2. წინამდებარე **შეთანხმება** წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება.

3. წინამდებარე **შეთანხმების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ **მხარეებს**:

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

მეიჯარე

[მეორე მხარის დასახელება - „კლიენტი" ან სხვა] ხელმოწერა /_____/

იჯარის ხელშეკრულების
დამატებითი პირობები N1- TCH 181/07 - 002

ქ. თბილისი

20 აპრილი 2016 წელი

1. **მხარეები**

1.1.	**ბანკი:**	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	ს.ს. „საქართველოს ბანკი";
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
1.1.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.1.1.2.1.	სახელი და გვარი:	თორნიკე გოგიჩაიშვილი (პ/ნ 01010005109);
1.1.1.2.2.	თანამდებობა/სტატუსი:	გენერალური დირექტორის მოადგილე;
1.2.	**მეიჯარე:**	
1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს „კომერც გრუპი";
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	405028205;
1.2.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.2.1.	სახელი და გვარი:	ლაურა ღაჭავა;
1.2.1.2.2.	პირადი ნომერი:	01017003216;
1.2.1.2.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;
1.3.	**კონტრაჰენტი**	
1.3.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს „PP";
1.3.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	404922474;
1.3.1.2.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.3.1.2.1.	სახელი და გვარი:	ლაურა ღაჭავა;
1.3.1.2.2.	პირადი ნომერი:	01017003216;
1.3.1.2.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;

მხარეები თანხმდებიან შემდეგ დამატებით პირობებზე:

2. **მხარეთა დამატებით შეთანხმებული პირობები**

2.1. ვინაიდან **იჯარის საგანი კონტრაჰენტის** მიერ 2016 წლის 30 მარტს საკუთრებაში გადაეცა **მეიჯარეს**, **მხარეები** თანხმდებიან, რომ:

2.1.1 2016 წლის მარტის თვისთვის (2016 წლის 31 მარტის ჩათვლით) გათვალისწინებული **საიჯარო ქირა**, **მეიჯარის** თანხმობით, **ბანკმა** სრულად გადაუხადა **კონტრაჰენტს**, რაზედაც **მეიჯარეს** პრეტენზია არ გააჩნია;

2.1.2 2016 წლის აპრილის თვისთვის გათვალისწინებულ **საიჯარო ქირას ბანკი მეიჯარეს** გადაუხდის არაუგვიანეს 2016 წლის 30 აპრილისა, ხოლო **საიჯარო ქირა** მომავალი პერიოდისთვის გადახდილ იქნება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.1.3 **ბანკის** მიერ **საიჯარო ქირის** გადახდა მოხდება **მეიჯარე** - შპს „კომერც გრუპი"-ს - შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: სს „საქართველოს ბანკი", BAGAGE22, GE49BG0000000806581700.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/_____/

მეიჯარე

/_____/

კონტრაჰენტი

/_____/

მეიჯარის ხელმოწერა /_____/

კონტრაჰენტის ხელმოწერა /_____/